ტფილისი
საქართ. ბიბლიოთეკა
ეროვნული ბიბლიოთეკა

№ 86
კვირა, 25 აპრილი, 1899 წ.

გაზეთი ღირს:

თვე	მან.	კ.	თვე	მან.	კ.
12	10	—	6	6	—
11	9	50	5	5	50
10	8	75	4	4	75
9	8	—	3	3	50
8	7	25	2	2	75
7	6	50	1	1	50

ცალკე ნომერი—ერთი შაური

„ივერიის“ ტელეფონი № 227

1877—1899

ივერია

№ 86
კვირა, 25 აპრილი, 1899 წ.

რედაქცია:
ნიკოლოოზის ქუჩა, 21.
ტფილისი.
გაზეთის დასაბარებლად
და განცხადებათა დასაბეჭდად
უნდა მიჰმართონ რედაქციის და წერა-კითხვ. გამავრც. საზოგადოების კანცელარიი
ფასი განცხადებისა:
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ 16 კაპ., მეოთხეზედ—8 კაპ.

„ივერიის“ ტელეფონი № 227

გაზეთი ,,ივერია‘‘ პირველ მაისიდგან წლის დამლევამდე ეღირება 7 მან. 25 კაპ.

23 აპრილს გარდაიცვალა

კნეინა ქეთევან რევაზის ასული გურამიშვილისა,

რასაც შვილნი მისნი თავადი დავით ალექსანდრეს ძე გურამიშვილი, ოლგა ალექსანდრეს ასული ნიკოლაძისა და მარიამ ალექსანდრეს ასული ჯავროვისა აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთა. პანაშვიდი დანიშნულია შაბათს, 24 აპრილს, საღამოს 7 საათზედ მიცვალებულის სადგომში—ლაბორატორიის ქუჩა, № 51; გასვენება—კვირას, 25 აპრილს, დილის 10 საათზედ, ვანქის ტაძარში; დასაფლავება იმავე დღეს სოფელს ქვემო ავჭალაში. (1—51—1)

,,ქ. შ. წერა-კითხვის გამავრცელებელის საზოგადოების‘‘ გამგეობამ მიიღო ბ-ნის გუბერნატორისაგან ნებართვა გამართოს საზოგადოების სასარგებლოდ

სახალხო სეირნობა საქველმოქმედო ბაზრითურთ.

სეირნობა და ბაზარი გაიმართება მაისის დამდეგს. ვისაც სურს დახმარება აღმოუჩინოს ბაზრის გამართვას, შემოწირულება უნდა გამოუგზავნოს ტფილისში კნ. ოლგა თადეოზის ასულს ჭავჭავაძისას, ნიკოლოოზის ქუჩა, № 21.

ქუთაისის მიხეილის სათავად-აზნაურო საადგილ-მამულო ბანკის ზედამხედველი კომიტეტი ამით აცხადებს საყოველთაოდ, რომ ამ ბანკის წესდების მე-89 §-ის ძალით, წლიური მორიგი კრება ამ ბანკის რწმუნებულთა დანიშნულია 1899 წლის ოცდა თერთმეტ (31) მაისისათვის. კრება მოხდება ქუთაისში, ბანკის გამგეობის სადგომში, შუადღის 12 საათზედ. კრება კანონიერად იქნება ჩათვლილი, რამდენი რწმუნებულიც უნდა გამოცხადდეს.

განსახილველია შემდეგი საგნები:

1. განხილვა და დამტკიცება ბანკის 1894—1898 წლების მოქმედების ანგარიშებისა.
2. დამტკიცება 1899 წლის ხარჯთაღრიცხვისა.
3. საზოგადო საჭიროებისათვის გადადებულ თანხის განაწილება.
4. ბანკის წესდების ზოგიერთის §§ შეცვლა და შევსება.
5. შეცვლა და შევსება დამფასებელთა ინსტრუქციისა.
6. გამგეობისა და ზედამხედველ კომიტეტის იმ წევრების არჩევანები, რომელთაც სამსახურის ვადა გასდით.

(3—6.—3)

,,შუამავალი‘‘

ამხანაგობის მაღაზია გადადის თამამშევის ქარვასლაში, პუშკინის სკვერის წინ. (10—6.—1)

ექიმი
კ. ი. გძელიშვილი

მიიღებს

ყელის, ცხვირისა და ყურით

ავადმყოფებს.

დილ. 9—11 ს., საღამოზე 5—7 ს.

მიხეილის ქუჩა, ნემეცების ეკკლესიის პირდაპირ. Михайловская, противъ кирки.

(100—31—33)

პირველი კერძო სამკურნალო
ექიმის ნავასარდიანისა

(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

ბ. ა. ნავასარდიანი, 11—12 საათ. სადოსტაქრო, ვენერიული (სიფილისი) და საშარდეს ავადმყოფობანი.

ყ. მ. ჩიქოვანი. 9—10 საათ. სნეულებანი: თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.

ზ. ი. ბაბანასიანცი—დილის 11—12 ს. ქალთა სენით ავადმყოფებს.

ი. თ. პროტასევიჩი—12—1 საათ. ყურის, ყელის, ცხვირის და გულის ავადმყოფ.

ა. პ. კარაპეტიანცი. 1—$1\frac{1}{2}$ საათ. შინაგანი და ბავშვებისა.

ა. გ. გუჩკო. $1\frac{1}{4}$—$2\frac{1}{4}$ ს. შინაგანი და საშარდეს ავადმყოფობის.

საღამოობით:

გ. მ. მახვილაძე.—5—6 საათ. შინაგანი და ბავშვების ავადმყოფ.

ა. ნ. შპაკოვსკი—6—7 საათ. ნერვების (ელექტროტერაპია), ვენერიული და კანის სნეულებ.

ბ. ა. ნავასარდიანი $6\frac{1}{2}$—7 საათ.

ტ. ი. რუდენკო—სამკურნალოში გამოიკვლევს ქიმიურად, მიკროსკოპიულად და ბაქტერიოლოგიურად შარდს, ნახველს, სისხლს, რძეს და სხვ.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური; ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.

Первая частная лѣчебница *Д-ра Навасардіана.*

Тифлисъ, противъ памятн. Воронцову.

(—1—წ.)

მთავრობის განკარგულებანი.

ტფილისის სათავად აზნაურო ბანკის წესდების შეცვლის შესახებ. ტფილისის სათავად აზნაურო ბანკის შუამდგომლობის გამო, რომელიც აღძრულ იქმნა ბანკის წევრთა 1896 წლისა 19 მაისის და 1897 წლის 26 მაისის საზოგადო კრებათა დადგენილებანის ძალით და 1896 წლის 16 დეკემბერს უმაღლესად დამტკიცებულის სახელმწიფო საბჭოს აზრის თანახმად, ფინანსთა მინისტრმა შესაძლებელად სცნო შეავსოს და შესცვალოს ბანკის წესდების *) მე-3 და 6 §§-ში ამ გვარად:

§ 3. ბანკის მოქმედების ფარგალი შეზღუდულ იქმნას ისე, რომ ბანკს შეეძლოს სესხი გასცეს სახნავ, სათიბ და საძოვარ ადგილებზედ, ვენახებსა და ხეხილის ბაღებზედ და ქალაქის უძრავ ქონებაზედ, რომლებიც მსესხებელთა სრულს საკუთრებას შეადგენს.

შენიშვნა 1. კოჯორსა და დაბა ბორჯომში გაიცემა სესხი უძრავ ქონებაზედ, 1896 წლის 16 დეკემბრის უმაღლესად დამტკიცებულის სახელმწიფო საბჭოს აზრის ძალით, იმავე საფუძველით, რა საფუძველითაც ქალაქის უძრავ ქონების გირაოდ მიღებით იძლევა.

შენიშნა 2. იმ ადგილების საზღვრები, რომელიც აღნიშნულია პირველ შენიშვნაში, არის: 1, კოჯორისა—განაპირად მდებარე სამოსახლო ადგილები; 2, დაბა ბორჯომისა: აღმოსავლეთით—სოფ. ქვიბისიდგან № 28 ბოძამდე, რომელიც აღმართულია ბორჯომის სამკურნალო წყლების დასაცველად; სოფ. სადგერის სახნავ მიწების ქვემო საზღვრის გასწვრივამდე; სამხრეთით—სოფ. სადგერის სახნავ ადგილებიდგან სამკურნალო ბაღის ჩრდილოეთის წყარომდე და პეტრეს ციხესა, № 15 დასაცველ ბოძისა და ლიკანკის ძველ ხიდის მახლობლად მდებარე ეკკლესიის ნანგრევების გასწვრივამდე; დასავლეთით—მდ. ლიკანკის მახლობელ ადგილიდგან საეტაფო სადგურამდე და ჩრდილოეთით—საეტაფო სახლიდგან გოგიას ციხის ნანგრევების გასწვრივამდე.

შენიშვნა 3. გირაოდ მისაღები ქალაქის შენობანი, როგორც ხისა, აგრეთვე ქვითკირისა, ცეცხლისაგან დაზღვეულ უნდა იქმნას იმ წესის ძალით, რომელიც აღნიშნულია წესდების მე-III თავში.

---

*) ეს წესდება დამტკიცებულ იქმნა 1874 წლის 28 მაისს და გამოქვეყნებულ იმავე წელს „მთავრ. კანონდ. და განკარგ. კრებულის“ მე-52 №-ში. ცვლილებანი წესდებისა გამოქვეყნებულ იქმნა იქავე შემდეგ ნომრებში: № 32 (1881 წ.), 70, 71, 109 (1891 წ.), 42 (1893 წ.), 48 (1896 წ.) და 114 (1898 წ.).

ფელეტონი

მგოსანს

რას დაღვრემილხარ, მგოსანო,
და რას შესცქერი ზენასა?
მარტო ზეცისა ყურება
ერს ვერ მოუტანს ლხენასა...

—

ჩანგი აიღე კვლავ ხელში,
სიმი გააბი წკრიალა,
დაჰმღერე, თორემ სულს გვხუთავს
ნაღველით სავსე ფიალა...

—

მაგ შენის ჩანგის სიმის ხმა
შეარხევს დამდგარს ჰაერსა
და აშმორებულს ცხოვრებას
მისცემს სხვა სულს და სხვა ფერსა...

—

და ერიც, ძალ-მიცემული,
ხელსა მოისვამს თვალზედა
და იტყვის: „დროა, ვიფიქრო
უკეთეს მომავალზედა“...

—

მაშ ნულარ სდუმხარ, მგოსანო,
ჩანგს მოუმარჯვე ხელია,
ხალხი, რომელმაც ალგზარდა,
შენგნით ხსნის მომლოდნელია...

ბ. დავითაშვილი

გივი ამილახვარი და სიონის ტაძარი

უკანასკნელნი წელნი (1722—1724) ვახტანგ VI მეფობისა მეტად სახიფათონი იყვნენ საქართველოსათვის. პეტრე დიდისაგან დაიმედებულმა სპარსეთს ზურგი შეაქცია და იძულებული გახდა 1723 წ. მოეწვია და დამორჩილება ოსმალეთის სარასკარს, იბრეიმ ფაშას, იმ დროს ყარსში მყოფსა. ასეთი დამდაბლება დიდებულის მეფისა გამოიწვია... ყიზილბაშთა გაიძვერა პოლიტიკამ, რომლის გამო „ქართლელების დღემა ხნული კახელებმა აღმა ჰფარცხეს“, რომლის წყალობით კახთ ბატონი მამად ყულიხანი აუმტერდა ქართლსა და მოსვენება აღარ აღირსა. აიოხრა ტფილისი, გაძარცვა სიონის ტაძარი და ლეონისგან შემკული სიონის ღვთის-მშობლის ხატი, დააუძლურა ქრისტიანობა.

ამ ნაირად უბრძოლველად დაიპყრეს ტფილისი და მასთან მთელი ქართლი ოსმალებმა 1723 წ. ივლისში. მათს მძიმე უღელს ვერ გაუძლო ვახტანგ მე-VI-მ და მისმა ძემ ბაქარმა და წლის თავზედ ცხინვალის გზით 15 ივლისიდამ გადავიდა ჩერქეზეთში სიმამრთან და აქედგან ასტრახანს 1724 წ. შემოდგომაზედ. კახთ-ბატონი მამად ყული-ხანი მაგდენი ვაჟკაცი როდი იყო, რომ ოსმალებს გაჰმკლავებოდა: იგი მამაცი იყო შინაურობაში, მისი ხმალი სჭრიდა ქართლის სისხლის დასათხევლად, ტფილისის დასანგრევად. გარედგან ჩაგონებულმა კახთ-ბატონთა პოლიტიკამ ქართლი დააუძლურა, შესისხლ-ხორცებული ქართლის სამეფო დინასტია გააძევა სამშობლოდამ და თითონაც ვერ შეინარჩუნა არამც თუ ქართლი, არამედ კახეთიც, და ორივეს საბოლოოდ დაუკარგა პოლიტიკური თვით არსებობა, ეროვნული დიდება თავისუფლება... ამ საშინელ დროს თუ ქართლი გადარჩა „პირისაგან ქვეყანისა აღგვასა“, მაგისათვის უნდა დავუმადლოთ თითო ოროლა დიდებულ კაცსა, რომელთაც თავი დადებული ჰქონდათ ძველებრ სარწმუნოებისა და სამშობლოსათვის. ამისთანა დიდსულოვანნი ვაჟკაცნი იყვნენ დანგრეულ-აოხრებულ სამშობლოს ჭეშმარიტი ჭირისუფალნი, ცხარე ცრემლით მტირალნი, რომ „დაღედლებულნი შიშთაგან არავინ ვარგოდა მამლადა“!

თუმცა ამბობს ჩვენი ძველი ანდაზა—„სადაც არა სჯობს, გაცლა სჯობს“, მაგრამ ამისთანა სახელოვანნი კაცნი ვერა სთმობდნენ აოხრებულს სამშობლოს და თავი შეაკლეს მისს კვლავ აღდგენასა, მისს კვლავ ფეხზედ დაყენებას. ერთი ამისთანა დიდსულოვანი ქართლის სპასალარი გივი ამილახვარი იყო *).

გივი ამილახვარი იყო შვილი გამაჰმადიანებულის ანდუყაფარ ამილახვრისა († 1304 წ. ფონთხელაზედ, ღართის კარს ზევით) და ზაალ ერისთავის ქალის ანახანუმისა († 1718 წ.), დაიბადა 1689 წ. იგი გამოვიდა საპოლიტიკო ასპარეზზედ 1722 წლიდგან, როდესაც თაბორის ომში მამადყულიხანთან მოიკლა სახელოვანი გიორგი ამილახვარი, ბიძა გივისა. (იხ. ქ—ცხ. II ნაწ. 83 და 331 გვ.) გივი ამილახვარი ახლო ნათესავი იყო ვახტანგ VI სამეფო ოჯახისა: გივის ბებია თამარ ბატონიშვილი ვახტანგ VI ალალი მამიდა იყო. ამიტომ დიდი მომხრე იყო მონათესავე სამეფო ოჯახისა და არ თანაუგრძნობდა კახთ ბატონთა ქართლის ტახტზედ გამეფებასა. წასვლის დროს(1724წ. ივლისის 15:) ვახტანგ მეფეს ტირილით გამოეთხოვა გივი და პირობა მისცა ებრძოლნა ქართლის თავისუფლებისათვის სიკვდილამდე. დრომდე, მეტი რა გზა იყო, მიემხრო ოსმალებს და იმარჯვებდა დროს როგორმე განეთავისუფლებინა ქართლი ოსმალთა მძიმე ბატონობისაგან.

სხვა ბარბაროსულ ბრძანებათა შორის ოსმალეთის სულთანმა უბრძანა ქართლის გამგებელს ტფილისში ისაყფაშას 1726 წ. სიონის ტაძარი მეჩითად გადაეკეთებინა, როგორც კონსტანტინეპოლის დიდშვენიერი აია-

---

*) თუ რა დიდი სახელი ჰქონდა გივის ოსმალეთში, იხ. „Грузин. дворянскіе акты“. А. Хаханова, Москва, 1893 г. 26—28 გვ. და „ქ.-ცხ.“ პაპუნა ორბელიანისა.

§ 6. სესხი შეიძლება გაიცეს სახნავ, სათიბ და საძოვარ ადგილების დაფასების რაოდენობის არა უმეტეს 50%-სა, ვენახებისა და ხეხილის ბაღების დაფასების რაოდენობის არა უმეტეს 40%-სა და ქალაქის უძრავ ქონებათა დაფასების რაოდენობის არა უმეტეს 60%-სა.

შენიშვნა. სესხი, რომლის გაცემაც ნება დართულია მე-3 §-ის პირველ შენიშვნის ძალით, შეიძლება გაცემულ იქმნას ქონების ღირებულობის არა უმეტეს 50%-სა.

ტფილისის სათავად-აზნაურო სადგილ-მამულო ბანკის წესდების მე 3 და 6 §§-ის ამ ცვლილებათა და შევსების შესახებ ფინანსთა მინისტრმა აცნობა 1899 წლის 15 თებერვალს უმართებულესს სენატს გამოსაქვეყნებლად.

◆

შემოწირულება

„ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ სასარგებლოდ განზრახულ ბაზრობას შემოსწირეს:

კნ. ბარბარე მაკარის ასულმა თარხნიშვილისამ—5 მანეთი ფულად.

კნ. მარიამ ნიკოლოზის ასულმა ჯამბაკურ-ორბელიანისამ—ოთხი ძვირფასი ყვავილების ჩასაწყობი ფაიფურის ვაზა.

ნინო გრიგოლის ასულმა ნათიშვილისამ—12 ნაჭერი ფრაკესი და ბროლის სხვა-და სხვა ნივთი.

◆

ახალი ამბავი

⁂ დღეს, 25 აპრილს, აისორთა ეკლესიაში მწირველი იქმნება მისი მაღალ-ყოვლად უსამღვდელოესობა საქართველოს ექსარხოსი ფლაბიანე. ამავე დღეს ზნეობის გამასწორებელ ახალშენთა გამგეობა ზემო ავჭალაში არსებულის ახალშენისათვის შეწირულებას მოაგროვებს, რის ნება-რთვაც უკვე აუღიათ უწმიდესის სინოდისაგან.

⁂ საქართველოს ექსარხოსი მაღალ ყოვლად უსამღვდელოესი ფლაბიანე 27 აპრილს ჯერ ქუთაისში და მერე იქიდგან ფოთში აპირებს წასვლასა.

⁂ გუშინ წინ, 23 აპრილს, მისი იმპერატორებითი უდიდებულესობის ხელმწიფე იმპერატრიცის სახელ-წოდების დღეს, ალექსანდრე ნეველის სამხედრო ტაძარში საქართველოს ეგზარხოსის ფლაბიანეს მიერ, გარდახდილ იქმნა წირვა და სამადლობელი პარაკლისი. წირვას დაესწრო ტფილისის დიდკაცობა და აუარებელი ხალხი.

ამავე დღეს ტფილისის სხვა ეკკლესიებშიაც იქმნა გარდახდილი პარაკლისი. ქალაქი ბაირაღებით იყო მორთული.

⁂ ჩვენ შევიტყვეთ, რომ სიღნაღის სამოქალაქო სკოლის ინსპექტორს კ. ბაღაშვილს შეუდგენია ქართულ-რუსული ლექსიკონი პირველ დაწყებით სკოლებისათვის. წიგნი მოზრდილია. ბეჭდვას უკვე შესდგომია.

⁂ კავკასიის საბაღოსნო ნაწარმოებთა გამოფენის ექსპერტების კომიტეტს დაუჯილდოვებია ქების ფურცლით ივანე პავლეს ძე როსტომაშვილი სამეურნეო წიგნების გამოცემისათვის ქართულს ენაზედ.

⁂ დღეს, 25 აპრილს, აკურთხებენ ქალაქის უფასო საავადმყოფოს, რომელიც იმყოფება კუკიაში ალექსანდრეს ქუჩაზე, მელკუმოვის სახლებში.

⁂ სამოსწავლო საბჭო საქართველოს ეპარქიისა შუამდგომლობს მთავრობის წინაშე, რომ, სხვათა შორის, ს. აწყურისა, ხოვლისა და სამთავროს სასწავლებლების შესანახად და მოსაწყობათ გადადებულ იქმნას 2,100 მ.

⁂ რუსეთის კერძო-საეკონომიო საზოგადოება, აპირობს რა პეტერბურგში სრულიად რუსეთის მერძევეთა ნაწარმოებისა და იარაღის გამოფენას, სთხოვს კავკასიის საიმპერატორო-სამეურნეო საზოგადოებას, მიიღოს მონაწილეობა ამ გამოფენაში და რაც შეიძლება ბევრ კავკასიელ მერძევეს გამოაგზავნინოს თავისი ნაწარმოები. ღირსეულთ ჯილდო მიეცემათ.

⁂ გუშინ, 24 აპრილს, სიღნაღში გაემგზავრა ტფილისის ოლქის სასამართლოს სისხლის-სამართლის მეორე დროებითი განყოფილება. თავმჯდომარეობს სასამართლოს წევრი ბ-ნი პარჩევსკი, წევრად არის ბ-ნი ვ. ფ. პადალკო, ბრალმდებლად—ბრალმდებელის ამხანაგი ბ-ნი ტარსაიძე. ეს განყოფილება სიღნაღში 1 მაისამდის დარჩება.

⁂ დღეს გორშიაც მიდის ტფილისის ოლქის სასამართლოს სისხლის სამართლის პირველი დროებითი განყოფილება, რომელიც შესდგება თავმჯდომარის ბ-ნ ბოგაევსკისა, წევრის ა. ვ. პადალკოსა და ბრალმდებლის ამხანაგის ჯალალოვისაგან. სესსია 7 მაისამდის დარჩება ქ. გორში.

⁂ გაზეთ „ახალ მიმოხილვას“ დეპეშით ატყობინებენ პეტერბურგიდგან, რომ ტომსკის ვიცე გუბერნატორი ბისკუპსკი შინაგან საქმეთა მინისტრის განკარგულებით დანიშნულ იქმნა კავკასიის მთავარ-მართებლის საბჭოს წევრადაო.

⁂ გაზეთის „ახ. მიმოხ.“ სიტყვით, ამა წლის 22 მარტს ხელმწიფე იმპერატორს კეთილ უნებებია და დაუმტკიცებია ტფილისის და ქუთაისის გუბერნიის თავად-აზნაურთა მამულებზე გაწერილ კერძო გარდასახადების, ხარჯთ-აღრიცხვის და ამ გარდასახადების განაწილების პროექტი.

⁂ დ. ზუგდიდი. როგორც წარსულ წლებში, წლეულსაც პირველ მაისს გაიმართება აქ დოღი შუა ბაზრის ბულვარის მოედანზედ. საჩუქარი შარშანდელთან შედარებით წლეულსაც მომეტებულია. მეორე მაისს იქნება ბურთაობა; ბურთი უკვე შეკერილია და ორმოც-და-ორი გირვანქაა წონით.

ორ მაისობას ყოველთვის აუარებელი ხალხი იყრის აქ თავს: მოდიან როგორც სამეგრელოს სხვა-და-სხვა ადგილიდგან, ისე აფხაზეთიდგან, გურიიდგან და იმერეთიდგან. ეს დღეობა დიდ სარგებლობას აძლევს ზუგდიდს ვაჭრობით.

⁂ ფოსტა-ტელეგრაფის მოხელედ ნამყოფის ორჯონიკიძის საქმე, რომელსაც 50,000 მ. მითვისება ჰბრალდება, გასარჩევად დანიშნულია 11 მაისს.

◆

წერილი კახეთიდგან.

წლევანდელი წელიწადი მოსავლისათვის სულ სხვა ნაირია, ვიდრე წარსული ათი-ხუთმეტი წელიწადი. წელს ზამთარი თბილი და საკმაო თოვლიანი იყო. ადრე გაზაფხულდა და გაზაფხულის შეუფერებელი სითბო ჩამოვარდა: დღისით სითბო მზისაგან და ღამე მარაგი. ხეხილმა, რომელსაც ადრე გამოაქვს ყვავილი, უნაკლულოდ დაიყვავილა: სხვას ყვავილი უხვად გამოაქვს. ორი-სამის წლის ნამყენებმა დაიყვავილეს ნაყოფის შერჩენით, რაც ეს 10—15 წელიწადია არავის ახსოვს. ამისთანა ამინდმა ვაზსაც შეუწყო ხელი და კვირტი ადრე გამოაშლევინა; დღეს ვაზი ისეა გამოფეთქილი, როგორც მაისის პირველს გვინახავს. ცხადია, წამლობაც ადრე უნდა, ვიდრე წინად. არ ვიცი, საფილოქსერო კამიტეტი რასა ჰფიქრობს და თუ გადაწყვეტელია წელს საფილოქსერო დასების სოფლად გაგზავნა, სჯობია, ისევ ამ თავითვე ადრე დაიწყონ მოქმედება და სამაგიეროდ ბოლოდამ ამდენივე დღე მოაკვეცონ. წელს უფრო ბევრი უწამლებს და გლეხთ დასჭირდებათ ხელმძღვანელნი, რადგან წამლობა გლეხს დამოუკიდებლად აქვს წარმოდგენილი, ე. ი. არ არის დაჯერებული, რომ წამლობას შეფერებული ამინდი უნდა და თუ შეუფერებელს ამინდზედ უწამლა კაცმა, ის წამლობა სრულიად უსარგებლო იქმნება. ყველა ამას დიდი გავლენა აქვს წამლობის შედეგზედ. აქედამ წარმოსდგება ხოლმე ის გლეხისათვის გაუგებარი გარემოება, რომ ზოგი ნაწამლი კარგია, ზოგი ნაწამლი უწამლოდ დარჩენილისთანა, და ეს გარემოება გლეხს ისევ იმ აზრზედ ამაგრებს, რომელიც შერყეული ჰქონდა წამლობით, ე. ი. ყოველივე განგების ნებაა და წამლობა ტყუილი მოგონილი საქმეაო. რასაკვირველია, როცა ამისთანა რყევაშია კაცი, იქ კარგი მრჩეველი ბევრს გააკეთებს. ხშირად გლეხკაცს მრჩევლად გაუჩნდება ხოლმე იმისთანა, რომელმაც არც ენა იცის და არც გლეხის გარემოება. გლეხს ტოლმაჩით ელაპარაკება და ამისთანა საუბრისა ორივე მხარენი უკმაყოფილონი რჩებიან. ენის არ ცოდნა ისეთს ნაკლულევანებად უნდა ჩაითვალოს, რომელიც სრულიად უსპობს მსურველს წავიდეს სამოქმედოდ იქ, სადაც ვერცარავის რას გააგებინებს [illegible] ვერც თვით გაიგებს [illegible]სმე. ადგილობრივ გარემოებათა ცოდნაც ძაან საჭიროა, უამისოთ ერთ მეათედსაც ვერ გააკეთებს მომქმედი იმისას, რის გაკეთებაც შეეძლო.

ამასთან ისიც საყურადღებოა, რომ სანიმუშოდ აღებული ვენახი მართლა სამაგალითოდ იწამლებოდეს, რომ წამლობის შედეგი ცხად საყოფელი იყოს. სამწუხაროდ ჩვენდა, ეს ასე არა ხდება: აიღებენ სანიმუშო საწამლებლად ვისამე ვენახს, მიდიხარ სანახავად და ის ბევრად უხეირო მდგომარეობაშია, ვიდრე კერძო კაცისაგან ნაწამლი ვენახი. ნუ დაივიწყებთ, რომ ვისიც უნდა იყოს სანიმუშოდ საწამლებელი ვენახი, იგი გლეხმა უნდა დაჰბაროს, მანვე უნდა დათოხნოს, გასხლას, ჰიგო შეუდგას, შეჰყელოს, გაფურჩქნოს, გათიბოს და სხვ. რაკი ჰხედავს მეცნიერთაგან ნაწამლის უვარგისობას, ყოველი ნდობა ეკარგებათ იმათაც, ვინც მართლა სასარგებლონი იქმნებოდნენ იმავე გლეხისათვის, ნდობა რომ შეერჩინათ. ამისათვის ძალიან კარგს ინებებდა საფილოქსერო კომიტეტი, თუ ან სრულიად მოსპობდა სანიმუშოდ წამლობას, ან არა და სანდო კაცს მიანდობდა ამ თითით საჩვენებელს საქმეს.

სრული იმედი გვაქვს, რომ საფილოქსერო კომიტეტი მიაქცევს ყურადღებას წრევანდელის წლის განსაკუთრებულს ამინდსა და დროზედ მოეშველება საქმესა.

ნადიკვრელი

◆

სოფიოს ძველი ტაძარი 1454 წ. სულთანის ბრძანება უნდა შეესრულებინათ კვირაცხოვლობის შაბათს, 15 აპრილს. იმ დროს ტფილელად იყო მიტროპოლიტი დომენტი (ორბელიანი); თქვენს მტერს, რომ ასეთმა განკარგულებამ სულთანისამ მოხუცი დომენტი დაალონა და საგონებელში ჩააგდო. მეტი რა გზა იყო, მთელის სიონის კრებულს გაუძღვა დომენტი და ანჩისხატის ჩრდილოეთის მხრივ მცხოვრებს გივს ამილახვარს მიატანა, როგორც იმ ხანად უძლიერესს ქართველთა შორის კაცსა; შეევედრა ცრემლით თავი გამოედო და დაეხსნა სიონი ესეთის უკადრისის შეურაცხებისაგან. გივი ღრმად მორწმუნე კაცი იყო და აღუთქვა დომენტის შემწეობა.

გივმა ყოველი ღონე ილონა—თხოვნა-ხვეწნა, მუქარა, ქრთამი ისაყ ფაშის წინაშე და სიონის მეჩეთად გადაკეთებაზედ ხელი აალებინა, სულთანის ფირმანი გააუქმებინა. ასეთის დაუვიწყარის სიკეთისათვის მიტროპოლიტმა დომენტიმ სიონის კრებულითურთ ამილახვარს გივს დაუწესა წერილობითი ოქმით საუკუნოდ ხსენება კვირაცხოვლობის შაბათს წირვის გარდახდით. აჰა თვით გივი აჱილახვრის სახელზედ ოქმის შინაარსი:

„ქ. სახელითა სახიერისა არსება დაუსაბამოსა: მამისა: და ძისა: და სულისა წმიდისათა: და შუამდგომელობითა ყოვლად უბიწოსა წმიდისა სიონთა ღვთის მშობელისათა: ესე უკუნისამდე ჟამთა გასათავებელი მტკიცე და უცვალებელი წიგნი და ნიშანი მოგართვით ჩვენ ორბელისშვილმან ტფილელ ბოლნელ მიტროპოლიტმან დომენტიმ და ერთობილთ სიონთა ღვთის მშობლის კრებულთ: თქვენ ღვთის მოყვარესა და მართლმადიდებელს ამილახორს ბატონს გივს: მას ჟამსა ოდესა ოდეს აღაოხრეს ლეკთა ტფილის ქალაქს სიონთა ღვთისმშობელი: შემდგომად მათსა დაიპყრეს ქალაქი და ქვეყანა ქართლისა ურუმთა: მაშინ პატრონობდა ვეზირი: ისაყფაშა ახალციხისა: ბრძანება და ფირმანი მოსლოდა ხონთქრისაგან სიონთა ღვთისმშობლის ტაძრისა მეჩითად შექნა ინებეს: ჩვენცა წმიდამ ღვთის მშობელმან თქვენი თავი გამოგვიჩინა დამხსნელად და ნუგეშინისმცემელად: მოვედით ჩვენის კრებულით და დიდის მწუხარებით თავი გაწყინეთ: თქვენც ვინცავინ ქართველნი დარბაისელნი იყვნენ თანშემოიყარენით: და ამის შეწევნასა და დახსნას გულს-მოდგინედ ეცადენით: მიხვედით ფაშასთან არზა მიართვით და დიდად თავი გარდასდევით თითქმის დატყვევება და ამოწყვეტა ირჩიეთ და ამ საყდრის დაუნებელობა: იმანაც ყური მოუგდო თქვენს მოხსენებასა ხელი აიღეს: დიდად დაგამადლეს და ფეშქაშიც მრავალი გაიღევით: და საყდარსაც შესწირეთ: რადგან ამდენი სასყიდელი და ჭირნახული დასდევით ჩვენს მონასტერზე: ჩვენ სხვეფრ ვერას გმსახურებდით და ეს პირობა მოგვიხსენებია რომე: რადგან ახალკვირის შაბათს იყო ჩვენი განსაცდელი და საყდრის გამორთმევის ამბავი: ისივ ახალკვირის წინა დღე შაბათი განვაწესეთ თქვენთვის მოსახსენებლად: ამ დღეს იქით ყოვლის წლისათვის იმ შაბათს ჩვენ და ჩვენნი კრებულნი ერთობილნი ჟამს გიწირევდეთ თქვენ და თქვენთა შვილის შვილთა დაუვიწყებლათ მოვიხსენებდეთ: ჩვენ ეს პირობა მოგვიხსენებია: და რომელიცა შემდგომად ჩვენსა ხარისხსა ამას ზედა ტფილელობდეს მათთვისაც ასე ანდერძად დაგვიგდია: და ნურც დააკლებენ: და თუ ვინმე ეს ჩვენგან სამართლად განწესებული მოხსენება და ანდერძი დაივიწყოს და მოშალოს იგიმცა მოიშლების ყოვლისა კეთილისაგან: და ჩვენთა ცოდვათა წილ იგიმცა განიკითხვის დღესა სასჯელისა: ხოლო დამამტკიცებელნი ამისნი ღმერთმან აკურთხნეს: დაიწერა ხელითა სიონის დეკანოზის შვილის ოსესითა. აპრილს ც ქ̃კს უიე: (=1727 წ.) დომენტი არშიაზე წაწერილია: „ქ. რომელიცა კურთხეულს დომენტის ტფილელს განუწესებია მე ტფილელი ეფთვიმი ვამტკიცებ და აღვასრულებ და შემდგომად ჩემსა სხვანიცა ესრედ ჰყოფდეთ“.

მონა ღვთისა ტფილელ მიტროპოლიტი ეფთვიმი

„ქ. ჩვენ თბილელ მიტროპოლიტმა თუმანიშვილმან ქრისტეფორემ ეს სიგელი ღვთის ნებით დავამტკიცეთ“. ქრისტეფორე †

სიონის დეკანოზი მღვდელი გაბრიელ

ოსე.

ეს მშვენიერი საეკკლესიო დღესასწაული სრულდებოდა სიონში 1795 წლამდე; მას შემდეგ-კი არავინ დასდევდა. გივის ოჯახის მაგიერად მოურაობა გორისა და სპასალარობა ქართლისა ოთარ ამილახვრის ხელში იყო, ხოლო გივის მემკვიდრენი მიწასთან გასწორებულ და დაკნინებულ იყვნენ იმ ჟამად. აგერ ასი წელიწადი შესრულდა, რაც სიონის ტაძარში დავიწყებულია ნეტარ ხსენებულის გივის ამაგი. დღეს მისმა ღირსეულმა მემკვიდრემ თ. ივანე გივის ძე ამილახვარმა აღძრა შუამდგომლობა საქართველოს ექსარხოსის ფლაბიანესთან აღდგენისათვის უსამართლოდ დავიწყებულის საეკკლესიო დღესასწაულისა. ამ შუამდგომლობას მხარი დაუჭირა ყოვლად სამღვდელო კირიონმა, ალავერდის ეპისკოპოსმა და ექსარხოსმა კეთილ ინება აღდგეს მშვენიერი მოსახსენებელი გივი ამილახვრის დიდი ღვაწლისა. ამ გვარად კვირაცხოვლობის შაბათს, პირველ მაისს, ჩვენი საყვარელი მღვდელთ-მთავრები შესწირვენ სიონის ტაძარში უსისხლო მსხვერპლს პანაშვიდით გივი ამილახვრის და მის მემკვიდრეთა მიცვალებულთა სულის მოსახსენებლად, ხოლო ცოცხალთა სადღეგრძელოდ. ამავე დღეს შიომღვიმის უდაბნოში შესრულდება ასეთივე წირვა-ლოცვა, სადაც დასაფლავებულია გივი ამილახვარი თავის მეუღლით ბანგუათი; წირვა-ლოცვას შეასრულებენ ეგრეთვე ს. ქალაში და ტფილისის გივის მიერ აღშენებულ ქაშოეთის ტაძარში.

„აპრილს ქორონიკონს უმბ (1754 წ.) დამარცხდა ამილახვრის შვილი გივი შაჰყული-ხანი, რომელი იყო დიდებული და მდიდარი კაცი და ყოველგან სახელ-განთქმული“, ამბობს ჩვენი მემატიანე პაპუნა ორბელიანი *).

პ. ცხვილოელი

---

*) იხ. „ქ.-ცხ.“ 452 გვ.

წერილი აფხაზეთიდგან

13 აპრილს მდინარე კოდორი ნაპირიდგან გადავიდა და მას შემდეგ სოფელ ვლადიმიროვკას აწიოკებს და ანადგურებს. რამდენიმე სოფელი მთას შეეხიზნა და წვრილი ცოლ-შვილით კარვებში დაბინავდა, მაგრამ აქაც დიდმა წვიმებმა ხალხის მწუხარებას ზედ მეტი ჭირი დართო. შიგ შუა სოფელში ისეთი დიდი წყალი მოდის, რომ ცხენით თუ გავა კაცი, თორ[illegible] ისე შეუძლებელია. [illegible]ლმა წალეკა-გაანადგურა სოფლელთა ბოსტნეულობა-ბაღები, დაიღუპა მრავალი შინაური ფრინველი, ლამის სახლებიც დაანგრიოს და სხვ. მთავრობამ ორი როტა ჯარის-კაცი გამოგზავნა სოხუმიდგან სოფლელთა საშველად, მაგრამ ჯარი რას გააწყობს, როდესაც წყლის დამაგრება ამ ჟამად არაფერს არ შეუძლიან. მიზეზი ასეთის უბედურებისა აქ დაარსებული ხე-ტყის ქარხანაა ბ-ნის მაქსიმოვისა. ეს ქარხანა ულაგო-ალაგას არის გამართული; ხე-ტყეს ქარხნისათვის მდინარის შემწეობით ეზიდებიან, მაგრამ კოდორი შმაგი და დაუდგრომელი მდინარეა და ხეებს ხშირად გზაში ჰრიყავს ხოლმე, შემდეგ წყალი იგუბება, ნაპირებს გადადის და ახლო-მახლო მამულებს აფუჭებს. ამ შემთხვევაშიაც მდინარე ქარხნის ხეებით შეიგუბა სოფ. ვლადიმიროვკაში, მოაწვა სოფელს და ანადგურებს ყველაფერს. ქარხნის დაარსების შემდეგ მუდამ შიშში იყვნენ ვლადიმიროვკის მცხოვრებნი და რამდენჯერმე ითხოვეს—მოგვაქციეთ ყურადღება, მდინარე კოდორი აკლებას გვიქადისო, მაგრამ სოფლის თხოვნას დროზედ არავინ არ მიაქცია ყურადღება და ეხლა-კი, როდესაც უბედურება დატრიალდა, ჯარიც გამოიწვიეს და სოფლელნიცა, მაგრამ გვიანღაა.

ვერ ვიტყვით, რომ ხე-ტყის ქარხანა ბ-ნ მაქსიმოვისა სასარგებლო არ იყოს ამ მხარისათვის, პირ-იქით, ეს ფრიად საკეთილო და სასარგებლო საქმეა აქაურ მცხოვრებთა ნივთიერ მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის, მაგრამ, საუბედუროდ, საქმე თავათვე იმ ნაირად მოაწყეს, რომ სარგებლობასთან ერთად დიდი ზარალიც მოაქვს ხალხისათვის.

წყლის დაგუბებამ დიდი ზარალი მისცა აგრეთვე აქაურ მემამულეებს. ცოტა რომ ვთქვათ, ასი დესეტინა კარგი მიწა არის გაფუჭებული წყლისაგან. წალეკილ სოფლის სანახავად მოვიდნენ ბ-ნნი ბრალმდებლის ამხანაგი და გუბერნიის ხუროთ-მოძღვარი.

აფსუა

◆

მომავალი მსოფლიო გამოფენა და კონგრესები.

საფრანგეთის მომავალ გამოფენის დროს — როგორც მოსალოდნელი იყო — გამართული იქნება სხვა-და-სხვა კონგრესები. ზოგიერთ კონგრესის ხასიათი მეტად სპეციალური იქნება, მაგრამ არის ისეთებიც, რომელნიც გაარჩევენ საერთაშორისო თვისების სოციალურ-ეკონომიურ საგნებს. ამ რიგს ეკუთვნის ის კონგრესიც, რომელსაც ჩვენ შევეხებით.

უკანასკნელ სამის წლის განმავლობაში „ივერიის“ ფურცლებზე არა ერთხელ გვქონია ლაპარაკი საფრანგეთის ცნობილ მოღვაწის ლუი დიურანისა და იმისის „Union de Caisses rurales...“-ის შესახებ. ამ საზოგადოების აზრი, როგორც მკითხველებმა უკვე უწყიან, წვრილ კრედიტის საქმის გაუმჯობესება და სხვა-და-სხვა კომმუნებში სასოფლო ბანკების დაარსებაა. ლუი დიურანის არა-ჩვეულებრივმა მხნეობამ და განვითარებულმა გონებამ აგრე ვიწრო ფარგლით როდი შეზღუდა საზოგადოების მოქმედება: საფრანგეთის საზღვარგარედაც გადისროლა ხმა და თავის დაწესებულებას საერთაშორისო ხასიათი მისცა.

ამ აზრის დასამტკიცებლად საბუთების ძებნა არ არის საჭირო. 1897 წელს ქალაქ ტარბში (საფრანგეთი) მოხდა წვრილ კრედიტის (petit crédit) საერთაშორისო კონგრესი. ამ კონგრესზედ ყველა სახელმწიფოს წარმომადგენელი იღებდა მონაწილეობას. რუსეთიდგან დაესწრნენ ცნობილი რუსთა „არტელის“ დამცველი მ. ლევიცკი და პეტერბურგის წვრილ კრედიტის კომიტეტიდგან დელეგატად გაგზავნილი მ. ბრუდო. ორივემ მოხსენება წაიკითხეს. ერთის სიტყვით, ყველა წევრი კონგრესისა სცდილობდა გამოერკვია თავისის კუთხის წვრილ კრედიტის ბედი.

ეხლა, როგორც ლუი დიურანის საზოგადოების ორგანოდგანა სჩანს *), 28—16 თებერვალს რჩევას გადაუწყვეტია საერთაშორისო კონგრესი გამართოს 1900 წ. პარიჟის მსოფლიო გამოფენის დროს. „ეს კონგრესიო (Congrés international...) აცხადებს საზოგადოება, იქნება განგრძობა ქ. ტარბში 1897 წ. მომხდარ კონგრესისაო“. რა თქმა უნდა, ეს მომავალი კონგრესი წარსულზედ ბევრად საინტერესო იქნება შინაარსითა და წევრთა რიცხვითაც.

ჩვენ, როდესაც წარსულ კონგრესის წევრთა სახელი და გვარები და ანგარიში გადავათვალიერეთ, დიდი უსიამოვნება ვიგრძენით: ნუ თუ არც ერთ ქართველს არ შეეძლო ამ კონგრესზედ დასწრება და მოხსენების წაკითხვა. ეს მოვლენა, როგორც ერთხელ პატივცემული ალ. ხახანაშვილი ამბობდა, „არ ახალია—ძველია“ და თან დიდად სამწუხარო. რომელ კონგრესებს და კრებებს ვესწრობით? როდის? ამის შემდეგ კიდევ გვიკვირს და გვწყინს, როდესაც სხვანი ჩვენს დამცირებას სცდილობენ ევროპის და სხვ. საზოგადოების წინაშე. კონგრესებზედ დასწრება რომ არ შეგვეძლოს, ამას რომ ჩვენი უვიცობა ან უძლურება უშლიდეს ხელს, მაშინ არა გვეთქმის-რა, მაგრამ სავალალოც ის არის, რომ შეგვიძლიან და ასე-კი ვიქცევით. შორს არ წავალ. შარშან მოსკოვში მოხდა საზოგადოდ რუსეთის კრება წვრილ კრედიტის ბედის გასაუმჯობესებლად. ამ კრებას ორი ქართველი დაესწრო—თავ. ნ. თავდგირიძე და ბ. ქუთათელაძე. პირველს მოხსენება არ წაუკითხავს, მაგრამ კრებაზედ მაინც თავი იჩინა და ამა თუ იმ საგნის გადაწყვეტაში იღებდა გულ-წრფელს მონაწილეობას, არჩეულ იქნენ ამა თუ იმ კომისიაში. ასეთები სხვებიც გვყავს, რომელთაც ფრანგულიც კარგად იციან. ნუ თუ ამათ არ შეუძლიანთ მოამზადონ მოხსენება წვრილ კრედიტის საერთაშორისო კონგრესისათვის?! რასაკვირველია, ისინი ვიწრო ფარგალში არ მოაქცევენ ამ საგნის გამორკვევას და ცოტად თუ ბევრად კრედიტის მდგომარეობის გამორკვევასთან ერთად შეეხებიან ჩვენის ქვეყნის სხვა-და-სხვა ვითარებასაც. ასეთის მონაწილეობის მიღება, ასეთი მოქმედება ჩვენის მხრივ ყოვლად სასარგებლო იქნება.

ისინი, რომელთაც ჩვენ შევეხეთ ეხლა, მსოფლიო გამოფენას მაინც დაესწრებიან, პარიჟს მაინც ჰნახავენ იმ დროს. არა სჯობია, თავიანთ ჩასვლით რაიმე კვალი დასტოვონ საფრანგეთში! ამისთვის ერთი წელი ვადა გვაქვს კიდევ, ვინც შრომას დაიწყებს და რეფერატს დაამზადებს, ამ დრომდის საგნის გამორკვევას შეიძლებს.

სასურველია ეს აზრი არ დარჩეს ხმად მღაღადებლისად. ვინც ხსენებულ საერთა-შორისო კონგრესზედ მოისურვებს დასწრებას, პირობებისა და სხვათა გასაგებად უნდა მიჰმართოს ლუი დიურანის საზოგადოებას შემდეგის ადრესით: Union des caisses rurales, à Lyon, avenue de Saxe, 97.

მალაქია ბოლქვაძე

◆

ნარკვევი

(ჟურნალ-გაზეთებიდგან)

გაზ. „Новости“-ში აწერილია ერთი საყურადღებო ამბავი ბათუმის ცხოვრებიდგან. ბათუმის საქალაქო არჩევანების დროს ხმოსნის თანამდებობაზედ ყუთი დაუდგამს, სხვათა შორის, ბათუმის ქალაქის ვექილს ბ-ნ სელიტრენნიკოვს, მაგრამ არჩევით-კი არ აურჩევიათ. ამის გამო გაჯავრებულს სელიტრენნიკოვს კლუბში ცუდად უხსენებია ქართველები, რომელთა წყალობითაც ვითომ იგი არჩეულ არ იქმნა. იქვე კლუბში მყოფს ბ-ნ ა. მიქელაიშვილს სწყენია ქართველების ავად ხსენება და საჩივარი შეუტანია სელიტრენნიკოვზედ, მაგრამ სასამართლოს არ შეუწყნარებია საჩივარი იმ მიზეზით, რომ მომჩივარს ქართველებისაგან მინდობილი არა ჰქონდა ამ საქმის აღძვრაო. „Нов“-ის ფელეტონისტი, ბ-ნი ბუკვა ამბობს, რომ

„მართალია, სელიტრენნიკოვის მიერ ჩადენილი საქციელი იურიდიულ დანაშაულობას არ შეადგენს, მაგრამ იგი საქციელი სხვა გვარ დანაშაულს შეიცავს, თუმცა, საუბედუროდ, კანონით არც ამის ჩამდენის დასჯაა შესაძლებელი: დიდად მძიმე და სამარცხვინო საქციელს რუსეთის კულტურისა და ადგილობრივ რუსეთის ინტელიგენციის სახელის წინააღმდეგ. ეს საქციელი უფრო ბათუმში მყოფ რუსის საზოგადოებას აუგადრისებს, ვიდრე ბ-ნ მიქელაიშვილს და სრულიად ბათუმის ქართველობასაო.

◆

რუსეთი

—

საერო განათლების სამინისტროსთან არსებულმა სამეცნიერო კომიტეტმა ამავე სამინისტროს წარუდგინა პროექტი ყველასათვის ხელ-მისაწვდომის სათანდათანო კურსების მოწყობა-დაარსების შესახებ. ხოლო სამინისტრომ თავისს მხრით ამ პროექტის პირი დაუგზავნა სხვა და სხვა სამასწავლებლო ოლქების მზრუნველებს განსახილველად და აზრის გამოსათქმელად.

ახლა, როგორც გაზეთები იუწყებიან, ამ პროექტის ძალით დასაარსებლად განზრახული სახალხო, სათანდათანო კურსები დაექვემდებარება საერო განათლების სამინისტროს და აზრად ექმნება ხალხში გაავრცელოს ცოდნა სხვა და სხვა საგნებისა, რომლებსაც ასწავლიან საზოგადო და სპეციალურ საშუალო სასწავლებლებში. სხვათა შორის ასწავლიან ძველსა და ახალ ენებს, საკომერციო და სატეხნიკო საგნებს და აგრეთვე მოამზადებენ საეგზემენოთ (1 ჩინისა „ვოლნოოპრედელიაიუშჩის“ ხარისხის მისაღებათ და სხვ.). კურსების დასაარსებლათ ნება-რთვა უნდა გამოითხოვონ ხოლმე სამოსწავლო ოლქის მზრუნველთაგან. ზედამხედველობა მინდობილი ექმნება სახალხო სკოლების ინსპექტორებს და სამოსწავლო უწყების სხვა მოხელეთ. ამ კურსების დაარსების ნება ექმნებათ საზოგადო და საწოდებრივო დაწესებულებათ, იმ საზოგადოებათ, რომელთაც წესდება იმის ნებას აძლევს, და კერძო კაცებს. ამ კურსების ყველა გამგეთ (თავმჯდომარეს, კომიტეტის წევრებს, რწმუნებულთ) თანამდებობაზე დაამტკიცებს სამასწავლებლო ოლქის მზრუნველი.

◆

უცხოეთი

—

საფრანგეთი. გაზეთებში დაბეჭდილია აქამდის გამოუქვეყნებელი წერილი დრეიფუსისა. იგი არის მიწერილი შინაგან საქმეთა მინისტრთან იმას წინა დღეებში, სანამ მას ეშმაკის კუნძულზედ გაგზავნიდნენ. დრეიფუსი ასე იწყებს წერილს: „ბ-ნო მინისტრო, მე დამსაჯეს ისეთი სამარცხვინო დანაშაულობისათვის, რომლის ჩადენაც-კი შეუძლიან ჯარის-კაცს. მაგრამ მე არა ვარ დამნაშავე. როცა სასჯელი მომისაჯა სასამართლომ, მე გარდავწყვიტე თავი მომეკლა. მაგრამ ნათესავებმა და მეგობრებმა დამარწმუნეს, რომ ჩემის სიკვდილის შემდეგ ჩემი სახელი—ის სახელი, რომელიც ჩემმა შვილებმა უნდა ატარონ, ჩირქ-მოცხებული იქმნებოდა. ამის გამო მე ისევ ცოცხალი დავრჩი“. შემდეგ დრეიფუსი უარსა ჰყოფს ბრალდებას, ვითომც ის ბორდეროს ავტორი იყოს და რამდენჯერმე გრძნობიერის სიტყვებით იმეორებს, რომ დამნაშავე არა ვარო. ბოლოს გულმხურვალედ იხსენიებს თავისს სახლობას, რომელსაც „უბედურს ფრანგის სახლობას“ ეძახის.

— საკასაციო სასამართლომ ჩვენება ჩამოართვა კაპიტან ფრეიშტეტერს, რომელიც სამხედრო სასამართლოს წევრად იყო და დრეიფუსის გასამართლებაში მონაწილეობას იღებდა 1894 წელს. ფრეიშტეტერმა სთქვა თავისს ჩვენებაში, რომ სინიდისი მაწუხებს, რადგან დავრწმუნდი, რომ დრეიფუსი უდანაშაულოდ ისჯებაო. იმავე სამხედრო სასამართლოს წევრადვე ყოფილა მაიორი პატრონი. ამ პატრონთან მისულა „Patrie“-ს თანამშრომელი და გამოუკითხავს, თუ რა აზრისა არის ის დრეიფუსის შესახებ. თითოეული მოსამართლეო, უთქვამს პატრონს კორესპონდენტისათვის, თავისის სინიდისის მიხედვით მოქმედებდა და ჭეშმარიტად გამბობ, ჩემი სინიდისი მე არაფერში არ მამხილებსო. მას შემდეგ, რაც დრეიფუსს სასჯელი გარდაუწყვიტეთ, უფრო გამოაშკარავდა მისი დანაშაულობაო: მე დიპლომატიური და სხვა საბუთის ქაღალდები მაქვს მხედველობაში, რომელნიც სრულს ჭეშმარიტებას წარმოადგენენო. საკასაციო სასამართლოს თუ სურს გაგება, რა აზრისანი არიან სამხედრო სასამართლოს წევრებად ნამყოფნი, შეუძლიან დაიბაროს და ჩვენება ჩამოართვას თითოეულს მათგანს; მე, მაგალითად, მეტად სასიამოვნოდ დამრჩება, ჩვენებას თუ ჩამომართმევენო.

—

ავსტრო-უნგრეთი. ამ უკანასკნელ დროს პოლიტიკურს წრეებში ხმა გავრცელდა, რომ ავსტრო-უნგრეთის მთავრობას აზრადა აქვს მხედრობა გააძლიეროსო. მთავრობამ, მართალია, ოფიციალურად უარი ჰყო ეს ხმები, მაგრამ გაზეთები, მეტადრე გერმანული, მაინც დაჟინებით იმეორებენ, რომ ჯარსაც მოემატება და სამხედრო ფლოტსაცო. თუ მართალი გამოდგა გავრცელებული ხმები, ახლოს მომავალში სამი ქვეით-ბატალიონი უნდა შესდგეს, ხოლო 1901 წელს ცხენოსანი ჯარი და კავალერია უნდა გამრავლდეს, და აგრეთვე ორი ჯავშნიანი გემი მოემატოს ფლოტს; 1903 წლიდგან-კი თანდათან უნდა გაძლიერდეს ფლოტი.

—

კორეა. როგორც გაზეთები ამბობენ, რუსეთს სამი ნავთ-სადგური აუღია კორეს მთავრობისაგან იჯარით: ილსანი, სუნ-ჩუი პო და კან-კენი; იჯარის ვადა 99 წელიწადია. ილსანი მდებარეობს კორეს აღმოსავლეთ მხრისაკენ, ბრაუტონის სრუტიდგან ჩრდილოეთისაკენ, რომელიც იაპონიის ზღვას კორესაგან ჰყოფს. კან-კენი მდებარეობს კორეს დასავლეთ მხარეს, ჩემულ-პოს მახლობლად, რომელიც აქამდის ითვლებოდა სეულის უმთავრეს ნავთ-სადგურად. კან-კენი სწორედ იმ ადგილას არის გაშენებული, სადაც მდინარე განი ერთვის ზღვას, და რადგან ამ მდინარის ნაპირებზედ გაშენებულია კორეს სატახტო ქალაქი სეული, სანამდისაც ხსენებულ მდინარეზე გემები დადიან, ამიტომ კან-კენს მეტად დიდი სტრატეგიული მნიშვნელობა აქვს. გაზეთები ჰფიქრობენ, რომ ამის შემდეგ კორეს დიდი ხნის სიცოცხლის იმედი აღარ უნდა ჰქონდესო, და იაპონიაც უნდა გამოეთხოვოს იმედს იმის შესახებ, რომ კორეში უმთავრესი ბატონობა ჩემს ხელთ იქმნებაო.

◆

დამაკვირდი

სმა, ჭამა და მურადობა
სჯობს ყოველსა სიკეთესა.
როსტომიანი

* * *

უკეთუ საჭაბუკე ცოდვასა შინა დაბერდა, სადღა იქმნეს სანანული?
სულხან საბა

* * *

ოდესცა მე ადამისა ცუნდრუკებს და კარიდამენ კარს გადი-გამოდის, იგი არს სულ ბოროტ და საქმეცა მისი ცუდ-ამაო მეუფისათვის.
ლასურიძე

◆

ჟურნალ-გაზეთებიდგან

(ამოკრებილი ამბები)

გაზეთები ერთს მეტად უცნაურს ამბავს იუწყებიან. ამას წინად ინფლუენციით ავად

---

*) „Bulletin Mensuel de l'Union de Cais. rur.“ a vril 1899.

გამხდარა ერთი ზანგი, გვარად ვილიამ კინგი. ინფლუენცია სხვა ავადმყოფობად გადაჰქცევია, რის გამო ზანგი მულენბურგის სამკურნალოში დაუწვენიათ. როდესაც ექიმს ლონგს გაუსინჯავს, აღმოუჩენია, რომ ვილიამ კინგს ორი გული ჰქონია—ერთი მარჯვენა და მეორე მარცხენა მხარეს. კინგი მოხუცებული, ასის წლის კაცია, მაგრამ ამასთან კარგად შენახული და ძალღონით სავსე თურმე.

* * *

ხშირად ამბობენ და ბევრი მეცნიერი ამტკიცებს კიდეც, რომ კაცს რაც დიდი ტვინი აქვს და რაც ეს ტვინი მეტს იწონის, მით უფრო ჭკვიანი და გონიერია იგი კაციო. ამ თეორიას, როგორცა ვთქვით, დღეს ბევრი მეცნიერი ჰყავს მომხრე. მაგრამ, როგორც არა ერთისა და ორის მაგალითიდგანა სჩანს, ეს თეორია ყოველთვის არა მართლდება. ხშირად ყოფილა ისეთი მაგალითი, რომ ყოვლად ჭკვიანის და მართლა გონიერის კაცის ტვინი მეტად ცოტა და სუმბუქი გამომდგარა. ასეთს მაგალითს წარმოადგენს საფრანგეთის შესანიშნავი ტრიბუნალი გამბეტა, რომლის ტვინიც მხოლოდ 1200 გრამს იწონიდა, მაშინ, როდესაც ჩვეულებრივის, საშუალო, არც ძალიან ჭკვიანისა და არც მეტად ჭკუა ნაკლების კაცის ტვინი 1500 გრამზედ ნაკლებს არ იწონის. როგორც ერთის ინგლისელის ანტროპოლოგის-იოზეფ-სიმსის მიერ ამ ბოლოს დროს გამოქვეყნებულ გამოკვლევიდგანა სჩანს, არა იშვიათი ყოფილა თურმე ისეთი მოვლენაც, რომ აშკარად უჭკუო კაცს მეტად მძიმე ტვინი ჰქონია. მეცნიერებს ბევრის გარდაცვალებულის კაცის თავი გაუჩხრიათ და იმ სიმძიმე ტვინი არც ერთის თავში არ აღმოჩენილა, რა სიმძიმის ტვინიც ერთის ახალგაზდა, გაზეთების დამტარებელის თავში აღმოჩნდა, თუმცა ეს კაცი არამც თუ ჭკუის კოლოფი არა ყოფილა, არამედ ამ ძვირფას განძზედ მწყრალადაც ბრძანებულა და „იდიოტის“ სახელიც-კი ჰქონია გავარდნილი. ამ კაცის ტვინი, იოზეფ-სიმსის მოწმობით, იწონიდა 2400 გრამს. ასეთსავე მაგალითს წარმოადგენს ნორვეგიელი გლეხი რუსტენი, რომლის ტვინიც 2,340 გრამს იწონიდა. ნათესავებისა და ნაცნობების მოწმობით, რუსტენი მეტად შეუგნებელი, მიუხვედრელი და მოუსაზრებელი კაცი ყოფილა. ჩვეულებრივის, საშუალო კაცის ტვინი იწონის ორთაშუა რიცხვით 1575 გრამს. როგორც იმავე სიმს გამოუკვლევია, 60 შესანიშნავის კაცის ტვინი 1575 გრამზედ ნაკლებს იწონიდა, სახელდობრ თითოსი 1530 გრამს, სამაგიეროდ ხუთის ჭკუა-ნაკლებისა და ათის სრულის „იდიოტის“ ტვინი 1776 გრამს იწონიდა. ყველა აქედგან სიმს ის დასკვნა გამოჰყავს, რომ სიდიდისა და სიმძიმის გარდა ტვინს სხვა რაღაცა თვისებაცა აქვს, რომლის ქონა ან უქონლობა გონიერების, სიჭკვიანის, ანუ უგონობის, უჭკუობის მომასწავებელიაო.

* * *

როგორც ერთი ამერიკული გაზეთი იუწყება, ბუნების-მეტყველს მ-რ რეიდს ამერიკაში აღმოუჩენია ერთის უდიდესის ცხოველის ჩონჩხი. ამ ჯიშის ცხოველნი უწინდელს დროში, რამდენისამე საუკუნის წინად, სცხოვრობდნენ თურმე დედამიწაზედ. თუ გაზეთის მიერ ნაუწყები ამბავი სიმართლეს მოკლებული არ არის, ის ცხოველი, რომლის ჩონჩხიც ეხლა აღმოაჩინეს, სიდიდით ბევრად სჭარბობს ყველა იმ დიდს ცხოველს, რომელთა შესახებ მეცნიერებამ დღემდის უწყოდა რამ. რეიდის გამოკვლევით ამ ცხოველს სიგრძე 20 საჟენი უნდა ჰქონოდა, სიმაღლე—5 საჟენი, სისქე—4 საჟენი. მარტო ჩონჩხი ამ ცხოველისა 1125 ფუთს იწონის თურმე. პატარა ძვლებიც-კი იმ სიმძიმე ყოფილა, რომ თითო ასეთის ძვლის გადატანა ორ-სამ კაცს ძალიან გასჭირებია. როგორც ვუწყით დღემდის უდიდეს ცხოველად მამონტი მიაჩნდათ. რეიდის სიტყვით, ახლად აღმოჩენილი ცხოველი იმდენადვე დიდი იქმნებოდა მამონტზედ, რამდენად ცხენია დიდი ძაღლზედ.

◆◆

ვერსად იპოვნით...

— ისეთს მკურნალს, რომ თავისს თავს თითონვე სწამლობდეს.

— არტისტს, რომ თავისს თავს დიდებულ ნიჭიერად არა სთვლიდეს, მეტადრე თუ ქართულის თეატრის მსახიობია.

— პოეტს, რომელიც აღტაცებული არ იყოს თავისის ლექსებით.

— ისეთს ადამიანს, რომ ყოველთვის მართალს ამბობდეს.

— დედას, რომ თავისი შვილი გატაცებით არ მოსწონდეს.

— ყმაწვილს ქალს, რომ გათხოვება არ უნდოდეს.

— ვაჭარს, რომ საქონელს ერთი ხუთად არ აფასებდეს.

— მოსამსახურეს, რომ მადლიერი იყოს თავისის ბატონისა.

— ფეხებს, რომ კოჟრები არა ჰქონდეს.

◆◆

შემოწირულობა

ჩვენ მივიღეთ ყაზანის აკადემიის სტუდენტის მღ. ბ. ხელაიასაგან 3 მან., რომელიც შეუწირავს მცხეთის ტაძრის განსაახლებლად დანიშნულ ფონდის სასარგებლოდ ქ ნს ალექსანდრა სმირნოვს. ეს ფული დანიშნულებისამებრ გარდაეცა.

◆◆

დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

22 აპრილი

პარიჟი. გაზეთ „Echo de Paris“-ს გაუგონია ლებრესაგან, განჩინება საბოლოოდ 20 მაისისათვის იქმნება დადგენილიო.

23 აპრილი

პეტერბურგი. ხელმწიფე იმპერატორის ბრძანებით, წითელის ჯვრის მთავარ სამმართველოს კასაში შეტანილ იქმნა ერთი მილიონი და ხუთასი ათასი მანეთი საზოგადოების ღონისძიებათა გასაძლიერებლად, აღმოსავლეთის 7 გუბერნიის მცხოვრებთათვის საზრდოს და სამკურნალო საქმეების მოსაწყობად.

22 აპრილს ხელმწიფა იმპერატრიცა მარიამ თეოდორეს ასული, დიდი მთავრინა ქსენია ალექსანდრეს ასული და დიდი მთავრინა ოლგა ალექსანდრეს ასული ცარსკოე სელოს წაბრძანდნენ.

მადრიდი. დედოფალმა მოაწერა ხელი დეკრეტს ხუთი მილიონის გადადების შესახებ კანარის კუნძულების დასაცველად.

როგორც გაზეთი „Piforma“ იუწყება, პალავთეხს განუცხადებია, რომ სამხედრო ბიუჯეტს 28 მილიონი მიუმატაო; პროექტი იქმნება წარდგენილი საგანგებო ბიუჯეტის შესახებ შეიარაღების განახლების და მსწრაფლ მსროლელ ზარბაზნების შესაძენადო. პალავთეხმა დასძინა, რომ ეს ხარჯი აუცილებელი არისო.

პეტერბურგი. პეტერბურგის ყველა ეკლესიაში გარდახდილ იქნა პარაკლისი დედოფლის იმპერატრიცა ალექსანდრა თეოდორეს ასულის დღეგრძელობისათვის.

ეგზამენები უნივერსიტეტსა და სხვა უმაღლეს სასწავლებელში ჩვეულებრივის წესით სწარმოებს.

მოსკოვი. დღეს ყველა ეკლესიაში გარდახდილ იქმნა პარაკლისი ხელმწიფა იმპერატრიცა ალექსანდრა თეოდორეს ასულის დღეგრძელობისათვის.

ლონდონი. „Times“ გონკონგიდგან დეპეშით ატყობინებენ, რომ ძუნგ-ლი-იამენი დაჰპირდა ინგლისს არ დაუთმობს არცერთს სხვა სახელმწიფოს კულანგ-სუსის კუნძულიო.

პეტერბურგი. 23 აპრილს ალექსანდრეს სასახლის ეკლესიაში გარდახდილ იქმნა წირვა. დაესწრნენ: ხელმწიფე იმპერატორი, დედოფალნი იმპერატრიცანი მარიამ თეოდორეს ასული და ალექსანდრა თეოდორეს ასული, დიდნი მთავარნი და მთავრინანი და სხვანი. წირვის შემდეგ სასახლეში გამართულ იქმნა უმაღლესი საუზმე.

დედოფალი იმპერატრიცა მარიამ თეოდორეს ასული ავგუსტოესს შვილებითურთ ცარსკოე სელოდგან გატჩინოში წაბრძანდა.

პარიჟი. „ფიგარო“ სწერს, რომ მალე განვაახლებ გამოძიების ბეჭდვასაო.

მადრიდი. რიოსი დეპეშით იუწყება, აგვინალდომ განაცხადა, ესპანიის დელეგატებთან მოლაპარაკებას არ ავღძრავ ტყვეების განთავისუფლების შესახებაო და დაუმატა, მხოლოდ ამერიკელებთან მექმნება მოლაპარაკებაო.

24 აპრილი

პარიჟი. პალატა. გუზი შეეკითხა ფრეისინეს იმის შესახებ, თუ რად შეაწყვეტინეს პროფესორს დიურვის საპოლიტიკო ინსტიტუტში ისტორიის ლექციების კითხვა. ამასთან გაჰკიცხა მთავრობის საქციელი. ფრეისინემ მიუგო, რომ დიურვიმ წერილი დასწერა დრეიფუსის სასარგებლოდ, რამაც მოსწავლეთა შორის უკმაყოფილება გამოიწვია. მათ ერთხმად პროფესორის წინააღმდეგ მანიფესტაცია მოახდინეს. სასწავლებლის უფროსმა საყვედური გამოუცხადა მოსწავლეებს და კურსი შეაჩერა, რაიცა ძალიან ხშირად მოხდება ხოლმეო. ფრეისინემ განაცხადა, რომ უფროსი კარგათ მოიქცაო (ხმაურობაა). გუზიმ განაცხადა, რომ ფრეისინეს პასუხი არ მაკმაყოფილებსო (ტაშის ცემაა უკიდურეს მემარცხენეთა შორის). ამით გათავდა ეს საქმე.

პალატაში ხმა დადის, რომ ბალლო-ბოპრე თავისს მოხსენებას მომავალ ხუთშაბათს წარადგენსო.

პარიჟი. ქალაქის საბჭომ დაადგინა დიდის ამბით მიეგებოს მარშანის მისსიას, როდესაც იგი პარიჟში შემოვა.

◆◆

წერილები რედაქციის მიმართ.

როგორც მე, აკეთის სამრევლო სკოლის მასწავლებელი, აგრეთვე ადგილობრივი მღვდლები—მამა ნიკოლოოზ უშვერიძე და ბ. თოხაძე და აგრეთვე მათდამი რწმუნებული მრევლიცა უღრმესს მადლობას ვსწირავთ კნიაგნა ვისია თავდგირიძეს, რომლის შრომა-თაოსნობით წარსულის წლის 27 დეკემბერს ქ. ოზურგეთში გამართულ იქმნა წარმოდგენა. ამ წარმოდგენის შემოსავლიდგან ორმოცი მანეთი ჩვენს სამრევლო სკოლას გამოუგზავნა და მით გაჭირვებულ სკოლას ხელი გაუმართა. აგრეთვე უღრმესს მადლობას ვუძღვნით ოზურგეთის ქალაქის თავს თავ. ნიკო თავდგირიძეს, რომელმაც დაათვალიერა ჩვენი სკოლა და ბავშვების გამოცდის შემდეგ სამი მანეთი სასკოლო დაფის შესაძენად დაგვიტოვა და ბავშვებს კიდევ თითო რვეულს დაჰპირდა საჩუქრად. ვიმედოვნებთ, რომ ეს დახმარება უკანასკნელი არ იქნება მათის მხრივ.

აკეთის სამრევლო სკოლის მასწავლებელი
მაქსიმე ღლონტი

—

უგულითადესს მადლობას ვუცხადებთ ოდესის უნივერსიტეტის ქართველ სტუდენტებს, რომელთაც გამოუგზავნეს „წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას“ 15 მან. და 15 კაპ. შელკოზავოდსკის სკოლისათვის სახელ-მძღვანელო ნივთების სასყიდლათ, და ბ-ნ იოსებ ლეჟავას, რომელმაც შემოსწირა სკოლას ერთი მანეთის ქართული წიგნები.

მასწავლებელი შელკოზავოდსკის სკოლისა
მ. შატბეროვი,
ატამანი პ. გერგიევი,
მზრუნველი ა. პეტროვი.

—

უგულითადესს მადლობას ვუცხადებ იმათ, რომელთაც წიგნებად თუ ფულად შემოსწირეს სოფ. ხაშმის წიგნთ-საცავ-სამკითხველოს:

სოფ. სართიჭალის მღვდელმა მამა პართენ ცაგარელმა შემოსწირა 1 მან., დავით ყანდარელმა—1 მან., გიორგი ნახუცრიშვილმა—1 მან., ევგენი ნახუცრიშვილმა—60 კაპ., ონ. ჩიკაძემ—ოთხი ქართული წიგნი და დ. ს. კურდღელაშვილმა—ხუთი ქართული წიგნი. ამასთანავე მადლობას ვუძღვნი, როგორც ჩემისა, აგრეთვე ჩემის მოსწავლეების მხრივ დარიის სამონასტრო სკოლის მასწავლებელს ონისიმე ჩიკაძეს, რომელმაც მოსწავლეებს საჩუქრად გამოუგზავნა 20 ცალი სხვა-და-სხვა წიგნაკი.

წევრი ხაშმის წიგნთ-საცავ-სამკითხველოს გამგეობისა, მასწავლებელი ნ. კურდღელაშვილი

◆◆

„ივერიის“ ფოსტა

ქ. ბ—ო. ი. ბ—ძეს. სასამართლოს მატიანე დაგვიანებულია და არ დაიბეჭდება.

პარს. არ დაიბეჭდება.

მეცამეტეს. არ დაიბეჭდება.

დ. ლ—თი. ი. ბ—შვილს. არ დაიბეჭდება.

გუგულს. არ დაიბეჭდება, ორიოდე ხალხურ ლექსს გარდა.

იათეოზს. არ დაიბეჭდება.

ქ. გორი. დ. ლ—შვილს. არ დაიბეჭდება.

დ. უ—ლა. ი. ა—ს. შეწირულება მცხეთის ტაძრის განახლების სასარგებლოდ სიამოვნებით იქნება მიღებული, რამდენიც უნდა იყოს. მსურველს თავისი წვლილი შეუძლიან ჩვენს რედაქციაშიაც წარმოგზავნოს.

ს. მ—ხი. ვ. ი. ბელ—შვილს. არ დაიბეჭდება.

ქ. კიევი. მ. ბ—ძეს. კომედია მივიღეთ.

ი. ბელ—ს. არ დაიბეჭდება.

ს. ხოვლე. შ. ჯ—შვილს. ოქმის დამოწმებული პირი გამოგვიგზავნეთ.

აზ. დ. შ—ძეს. თქვენის წერილით იმ გაზეთს მიჰმართეთ, რომლის კორესპონდენტის წინააღმდეგაცა სწერთ. ჩვენის მკითხველებისათვის-კი ეგ საყურადღებო არ არის, რადგან შეიძლება ბევრს არც-კი წაეკითხოს ის წერილი, რომლის პასუხის დაბეჭდვასაცა გვთხოვთ.

◆◆

განცხადებანი

ქ. ქუთაისში
ახლად გაიხსნა
ღვინის საწყობი
ი. გოკიელოვის შვილებისა
ფასები:

№		ბოთლი	ფუთი უჭურჭლოთ მ.	კ.
№ 10	ღვინო სვირისა	15 კ.	2	30
9	„ „	18 „	2	80
8	„ „	20 „	3	—
8	„ კახური	20 „	3	20
7	„ „	25 „	4	—
6	„ „	30 „	4	80
5	„ „	40 „	6	—
4	„ „	50 „	7	—
3	„ „	60 „	9	—
2	„ „	80 „	12	—
1	„ „	1 მან.	15	—
ყიფიანებისა	„ „	30 კ.	5	40

(10—52—1)

ერიდეთ! არ მოსტყუვდეთ!!
ჰიგიენური
ბორნო-ტიმოლის საპონი
გ. ფ. იურგენსისა
აქრობს ჭორფლს, სიცხისაგან დაწვას, ყვითელს ლაქებს, ფერის მჭამელასა და მეჭეჭებს, აგრეთვე სპობს ოფლს. ვურჩევთ, როგორც კეთილსუნნელოვანი და მაღალის ხარისხის, ეს საპონი იხმარონ.
✦ ოქროს მედალი 1895 წ. ✦
ფასი თითო ნაჭერისა 50 კაპ., 1/2 ნაჭერი 30 კაპ.
იყიდება ყველა საუკეთესო სააფთიაქო მაღაზიებსა და აფთიაქებში.
პირველი საწყობი მთელის რუსეთისათვის გ. ფ. იურგენსონს მოსკოვში აქვს. დეპო ტფილისში ალმუროვთან, კავკასიაში სააფთიაქო ნივთებით მოვაჭრე ამხანაგობასთან, ცურინოვთან, გრივნაკთან, ძმ. პოპოვებთან და არისტაკოვთან. (24—მ.—9)

სააქციონერო საზოგადოება
„არტურ კოპპელ“
პეტერბურგი, ნევის პროსპექტი № 1.
განყოფილებანი: მოსკოვსა, ვარშავასა, ოდესასა, ვლადივოსტოკსა და გელსინგფორში.
რკინის გზის მოძრაობ. საჭირო მასალა.
რკინის გზათა გაყვანა.
ქარხნების აგება.
მექანიკური მოწყობილებანი.
ქარხნების მოწყობა.
სახელოსნოების მოწყობა.
(1—1)
„Артуръ Коппель“

Дозволено цензурою, Тифлисъ 24 го Апрѣля 1899 г.
სტამბა მ. შარაძისა და ამხანაგობისა.
რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე